ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **128-1282230555**
თარიღი: **01/11/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი თქვენი N09-02-16/491 კორესპონდენციის პასუხად, რომლითაც ,,გარემოს ხელმისაწვდომობა შშმ პირთათვის“ თემატური მოკვლევის ფარგლებში მოთხოვნილი იყო ინფორმაციის მოწოდება, გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა ადაპტირებულია შშმ პირთა გადაადგილებისათვის მხოლოდ გარე პერიმეტრზე, ძირითად შემოსასვლელთან განთავსებულია ,,პანდუსი“. სააქტო დარბაზი, რომელიც წარმოადგენს კონკურსის ჩატარების ადგილს, განთავსებულია მე-2 სართულზე, სადაც შშმ პირის დამოუკიდებლად გადაადგილება, დახმარების გარეშე შეუძლებელია, რადგან შენობას არ გააჩნია ,,ლიფტი“. ასევე კონკურსის შედეგებით გამარჯვებული შშმ პირისათვის ინფრასტრუქტურული გაუმართაობა (ლიფტის არ ქონა) ქმნის ბარიერს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებსა (შენობებზე) და საბავშვო ბაღებს, გაცნობებთ, რომ გათვალისწინებულია სპეციალური პანდუსების მოწყობა შშმ პირთა გადაადგილების ხელშეწყობისათვის.

პატივისცემით,

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი